საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ

წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ილონა თავართქილაძე

ლიდერის ფენომენი თანამედროვე საზოგადოებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირინე ცინცაძე

ხიჭაური
2019

ანოტაცია

ლიდერობა განსაკუთრებით ღირებული და იშვიათი რამ არის. ლიდერობის პროცესის აღსაწერად უამრავი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული. ლიდერობა ბევრ სხვადასხვა კონტექსტში არის შესწავლილი, პატარა ჯგუფებში, თერაპევტულ ჯგუფებში და თუნდაც დიდ ორგანიზაციებში, როგორც თვისობრივი ასევე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვანი საკითხის ანალიზს, რომელშიც მსჯელობა მოცემულია ზოგადად ლიდერობის ფენომენზე და მის მნიშვნელობაზე, ლიდერის თვისებებზე როლზე, სტრატეგიებზე, აგრეთვე მოდელების ტრანზაქციული ლიდერობის მნიშვნელოვან ფაქტორებზე, ორგანიზაციული თუ კორპორაციული კულტურის სახეობებზე და მათ ურთიერთკავშირზე.

თანამედროვე სამყაროს ყოველდღიურ საქმიანობაში ფაქტიურად ცოტა რამ არის ისეთი მნიშვნელოვანი და ღირებული, როგორც მართვა, ტრადიციები და ლიდერობა. ამიტომაც ლიდერობა საზოგადოების ფორმირებაში ერთ-ერთი უმთავრესი რამ არის, რადგანაც სწორედ ეფექტურ ლიდერზეა დამოკიდებული თუ როგორ შესწევს მას ძალა ხელი შეუწყოს საზოგადოების განვითარებასა და ფორმირებას. როგორც ვიცით წარმატებული ლიდერები ხშირად სწავლობენ და ავითარებენ თავიანთ უნარ - ჩვევებს, იმისათვის რომ მათი საქმიანობის შედეგად საზოგადოებამ მიაღწიოს იმ წარმატებას, რომელიც შემდგომში საზოგადოების წარმატებაც იქნება.

ANOTATION

Leadership is a particularly valuable and rare thing. Lots of scientific research has been conducted to describe the leadership process. Leadership is studied in many different contexts, in small groups, in therapeutic groups and in large organizations using qualitative and quantitative methods. As one of the author Stogdill describes a leadership survey, there are so many explanations of leadership, like democracy, love, or peace, and there is definition of leadership as many as how many people have tried to suggest their definition. In spite of, each of us knows what stands behind these words, for different people the words may have different meanings.

The present paper presents an analysis of the issue in which is mentioned the general phenomenon of the leadership and its significance, the role of the character of the leader, the strategies, as well as the main factors of transformation and transaction of models, organizational culture types and their interaction.

Very few things in a day of modern society are as important as management and leadership. That is why leadership is one of the most important things in society formation, since the effective leader of how strength can contribute to the development and formation of the society. As we know, effective leaders often learn and develop their habits so that people can achieve success as a result of their work, also societies success will be their success too.

სარჩევი

შესავალი ----------5

I თავი - საკითხის კვლევის ისტორიისათვის

1.1. ლობიზმი, წარმოშობა და განვითარება ----------**8**

1.2. ლობიზმის ცნება ----------

----------13

II თავი - ლობიზმის სამართლებრივი ინსტრუმენტები და ასპექტები

2.1. ლობიზმისა და კორუფციის ურთიერთმიმართება----------15

2.2. ლობიზმი და სამართალი ----------18

III თავი - ლობიზმი საქართველოში და საზოგადოებრივ - პოლიტიკური პროცესების მართვა

3.1 საქართველო და ქართული ლობიზმი ----------21

3.2 საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ (მოკლე მიმოხილვა)--26

3.3. ლობიზმის ცნობიერება საქართველოში ----------27

IV თავი - კვლევის ანგარიში / აღწერა

4.1 კვლევა ლობიზმი , როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოვლენა ----------31

4.2 კვლევის შედეგები ---------- 32

დასკვნა ----------55

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 58

თავი I

ლიდერის წარმოშობის ისტორიიდან, ცნების განმარტება

1.1. ლიდერობის წარმოშობის ისტორია

ლიდერობა საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების, ორგანიზაციის უძველეს და მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. ლიდერობა ყველა სოციალური და საერთოდ მთელი სამყაროს ერთობისთვისაა დამახასიათებელი. სოციალური ცხოვრების განვითარება კანონზომიერად იწვევდა ლიდერობის ფენომენის ევოლუციას, რთულდებოდა და ნელ ნელა ვიტარდებოდა ლიდერობის იერარქია, თანდათან გადადიოდა ლიდერობის უფრო რთულ ფორმებზე. სოციალური ფენების და სახელმწიფ ს წარმოშობის შედეგად ლიდერობა საზოგადოებრივი, პოლიტიკური პროცესებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აქტიური ელემენტი გახდა

,,ლიდერობა და ლიდერობის ფენომენი დასაბამიდან დღემდე იქცევდა მოაზროვნეთა ყურადღებას. ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები თავიანთ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ თხზულებებში უმეტეს წილად , ცნობილი ლიდერების სამეფოთა მესვეურების, მონარქების, იმპერატორების მოღვაწეობის

ცნობებს გვაწვდიდნენ და მიაჩნდათ, რომ ლიდერობა საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფაქტორია.“ (1:2010. გვ, 23)

პლატონის აზრით, ,,ლიდერობა იმ ადამიანს შეეძლო, ვისაც თანდაყოლილი სწრაფვა და ძალისხმევა ქონდა ცოდნის დაუფლებისაკენ, ის თვლიდა, რომ სიმართლის სიყვარული, სამართლიანობა და კეთილშობილება, სულიერი სრულყოფილება. ასეთი თვისებების დაბადებული ადამიანი პლატონს ფილოსოფოსად მიაჩნდა. პოლიტიკურ ლიდერის ფილოსოფოსთა უფლებას პლატონი იმით ხსნიდა, რომ მათ შეეძლოთ ხედვა მარადიულობის, რომელიც არ წარმოშობს უსამართლობას. ლიდერები ისტორიის ჭეშმარიტი შემქმნელნი არიან “ (2:2014. გვ.23)

ლიდერობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ახლებური მოსაზრება და მისი წარმოჩენა დაკავშირებულია ნ. მაკიაველის სახელთან (1469-1527). თუ გასული საუკუნეების მანძილზე მმართველს წარმოადგენდნენ, როგორც იდეალურ და წარმოსახვით ერთეულს , მაკიაველიმ ლიდერი რეალური ცხოვრების მქონე ინდივიდად განიხილა და ამავე ჭრილში მოაქცია . თავის ნაშრომში “ მთავარი” მან კონკრეტულად განიხილა და განსაზღვრა ლიდერობის ხასიათი, ქმედება და მოვალეობები.

მაკიაველის აზრით, ,,ლიდერის ქცევას ორი მთავარი მოტივი უნდა ასაზრდოებდეს და ის მის დაფუძვლად უნდა იქცეს ; ეს არის-; შიში და სიყვარული. სწორედ ესენი უნდა გამოიყენოს საუკეთესო ლიდერმა ხელისუფლების სწორად მართვასა და განხორციელებაში. თითოეულის ცალკ-ცალკე გამოყენება იმდენად დადებით და იდეალურ შედეგს ვერ მოგვცემს, როგორც ორივე მოტივი ერთად აღებული” (15.გვ.1).

თუმცა რეალურ ცოვრებაში ეს ფაქტიურად მიუღწეველია ამიტომ მმართველმა უმჯობესია თავისი მმართველობის ქვეშ მყოფი საზოგადოება შიშში ამყოფოს . მაგრამ ისეც არ უნდა მოხდეს, რომ შიშმა სიძულვილი ჩაანაცვლოს , თორემ შეიძლება ასეთი ლიდერი აღელვებულმა და უკმაყოფილო ქვეშევრდომებმა დაამხონ კიდეც. მსგავსი

სიტუაციის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ლიდერმა არ დაარღვიოს მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებები და პირიქით შეეცადოს ამ უფლებების სრულად დაცვასა. შიშის და სიყვარულის გარდა, ადამიანის ქცევის ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი პატივმოყვარეობაცაა. ეს თვისება დამახასიათებლი უნდა იყოს თითეული ადამიანისათვის.მდიდარ საზოგადოებას იმის შიში ამოძრავებთ, არ დაკარგონ ის, რაც დააგროვეს და უფრო მეტიც ცდილობენ უფრო მეტად გაიუმჯობესონ თავიანთი შესაძლებლობები ღარიბები კი, მდიდრების მსგავსად ძალაუფლების დაუფლებისკენ მიისწრაფვიან, ყოველგვარი გზებით ცდილობენ მოიპოვონ თავიანთი ადგილი მდიდართა საზოგადოებაში. ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ორივე კატეგორიის ადამიანები ერთნაირად იბრძვის : ამორალიზმი დამოკიდებული არაა ინდივიდის სოციალურ ფენაზე , უზნეობას პირველობისთვის ბრძოლა განაპირობებს.(3:2011. გვ79).

მაკიაველის აზრით, ლიდერისთვის აუცილებელია რომ იყენებდეს დასჯისა და წახალისების მეთოდებს. გამჭრიახი ლიდერი თავის თავში უნდა აერთინებდეს ლომისა და მელიის თვისებებს. აქ საუბარია როგორც თანდაყოლილ, ისე პრაქტიკაში შეძენილ თვისებებზე. ლიდერის ერთ-ერთი მთავარი მოწოდებაა შეასრულოს გარკვეული ფუნქციები, რომელიც აუცილებლად განაპირობებს მის როლს საზოგადოებაში.(9:2013. გვ65)

ფილოსოფოსის აზრით,ლიდერმა არჩეული პოლიტიკური რეფორმების გატარებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ვითარებები, რომელთა დროსაც ხელნძღვანელობდა გარკვეულად შემუშავებული ტაქტიკით და ჰქონდა შერჩეული პოლიტიკური კურსი, შესაძლოა შეიცვალოს. აუცილებელია ლიდერი მზად იყოს თითოეული გამოწვევისთვის. მასთან მთავარი “სიტუაციათა შექმნის ინიციატორია”, გამოსავლის პოვნა დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოს, ის უნდა იყოს სიტუაციის შემქნელი და არა გარემოს ტყვე, რომელსაც სეუძლია მხოლოდ ის მოიქმოქმედოს რის საშუალებასაც გარემო იძლევა.

მაკიაველის აზრით, ,,ლიდერს ხშირად მოუწევს სახელმწიფო ინტერესებისა და მოვალეობიდან გამომდინარე თვალთმაქცოდა , ტყული, მაგრამ მთავარს არასოდეს გამოტოვებს , იმის მიზეზი რომ გაამართლოს თავისი ორპირობა. მისი შეხედულებით პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა იცოდეს ადამიანური მოღვაწეობის მთავარი ფუნქციები, უნდა შეისწავლოს და პოლიტიკური მიზნებისათვის სწორად გამოიყენოს ქვეშევრდომთა ქმედებები რომლებიც საშუალებას მისცემს მმართველობის პერიოდში იბატონოს მასზე და "ადამიანის სულის ფარული სურვილების გამოცნობის უნარის წყალობით" ზემოქმედებდეს ნებისმიერ სიტუაციაში.(მაკიაველი1522:გვ102-103) მისი აზრით როცა "ხალხი გარყვნილია" საჭიროა საგანგებო და შესაბამისი ზომების მიღება, სადაც ორივე მხარეს ექნება სარგებელი" (9:2013. გვ.65) .

,,XVII-XVIII საუკუნეებში საზოგადოების პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში ინერგება საზოგადოებრივი ხელშეკრულების ახალი რომესაც ეწოდა ,,თეორია ფილოსოფიური და იურიდიული დოქტრინა,'' რომლის მიხედვითაც საზოგადოება საკუთარი ნებით, ხელშეკრულების გზით ერთიანდებიან და ქმნიან, სუვერენულ დამოუკიდებელ ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. ამით ისინი, მართალია გარკვეული დოზით საკუთარი ნებით სხვას გადასცემენ თავიანთ თავისუფლებსა და ნებას, მაგრამ ეს გარკვეულწილად ნაზღაურდება იმით, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თითეული ადამიანის პირად უფლებებსა და მათ ჰარმონიულ მშვიდ ცხოვრებას" (9:2013. გვ70)

სახელმწიფო წარმოიშვება მხოლოდ გმირულ ეპოქაში და არისტოკრატთა მონარქთა ბატონობას წარმოადგენს. თანამედროვე ეპოქაში მის ადგილს იჭერს დემოკრტიული სახელმწიფო, რომელშიც თავისუფლება და "ბუნებრივი სამართლიანობა" ერთმანეთში მჭიდროდაა დაკავშირებული და თითქოს ბატონობს კიდეც . ეს არის კაცობრიობის განვითარების უმაღლესი საფეხური , მისი სიდიადე, რომლის შემდეგ საზოგადოება უბრუნდება თავდაპირველ მდგომარეობას. შემდეგ

კვლავ იწყება აღმავალი ხაზით მოძრაობა დაკვლავ იწყება საფეხურების გავლა თავისივე სირთულებითა და სიდიადით . (5:2017. გვ5-7)

1.2. ტერმინი ''ლიდერის,, განმარტება

,,ტერმინს ,,ლიდერობა'' რამდენიმე მნიშვნელობით გაიყენებენ, კონკრეტულად, მასში იგულისხმება სხვადასხვა მოსაზრება რომლებიც ცალკე აღებული ერთმანეს ძალიან ემსგავსება და საბოლოო ჯამში უბრუდება საკუთარ განმატებას: (1) საზოგადოების გარკვეული ფენის მუშაობის პროცესის მართვის და ყურადღების , ფორმალური თუ არაფორმალური ავტორიტეტის ფლობა. გამორჩეული ლიდერები არიან ისინი, ვინც ორივე ტიპის ხელმძღვანელები არიან და მმართველობის ორივე ფორმას ერთმანეთის შერწყმით ახორციელებენ : ფორმალური, თანამდებობრივ ავტორიტეტზე დაფუძნებული და არაფორმალური, ადამიანების სურვილზე დამოკიდებული , რომ განსაკუთრებული თვისებებიდან გამომდინარე ემსახურონ სხვა ადამიანს“ (1:2010. გვ, 28).

ცნობილია, რომ ლიდერები, რომელთაც ფორმალური ძალაუფლება აქვთ, უფრო დაბალ რეიტინგულ მდგომარეობაში არიან იმ ლიდერებთან შედარებით, რომლებსაც არაფორმალური ძალაუფლებით ორგანიზაციის ან ერის ძალების ზუსტი მართვა შეუძლია. ორგანიზაციის ლიდერთა მოვალოეობაა, რომ დააწმუნონ ადამიანები გააკეთონ ისეთი რამ, რაც არასოდეს გაუკეთებიათ, გააკეთონ ისეთი რაღაც, რაც რუტინა არ არის და რისკები გაიღონ და შეიძლება თავი გაწირონ კიდეც - საზოგადოებრივი და ორგანიზაციის კეთილდღეობისათვის., როდესაც ორგანიზაცია გაითავისებს

ალექანდრე დიუმას სამი მუშკეტერის ტაქტიკას „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“, მხოლოდ ამის შემდეგ ყალიბდება იგი ორგანიზაციად რომელიც შემდეგ უკვე ერთიანი ძალისხმევით მიიწევს უმაღლესი საფეხურებისკენ. თავისი არსით, ლიდერის მთავარი ამოცანა დასაწყისშივე არეულობისაგან და გაურკვევლობისგან ორგანიზაციის შექმნა და ადამიანების გადაქცევა უფრო ქმედუნარიან ინდივიდებად , შეკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული ჯგუფის პირობებში, ვიდრე არაორგანიზებული საზოგადოების სახით არსებობისას იქნებოდა. (2) ისინი, ვისაც საკანონმდებლო ორგანოში ფორმალური პოზიცია უჭირავთ. მაგალითად: სპიკერი, უმრავლესობის ლიდერი ან პარტიის ლიდერი, ძირითადად, მათ „ხელმძღვანელებად“ მოიხსენებენ და მას გარკვეული საჭირო ფუნქცია და მოვალეობები გააჩნია .(8:2019.გვ15-19).

თავი II

2.1. ლიდერობა, როგორც თვისება

,,ლიდერობის, როგორც თვისების განხილვა, მეოცე საუკუნეში ლიდერობის შესწავლის პირველ სისტემურ და აუცილებელ მცდელობას წარმოადგენდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ცდილობდნენ გამოერკვიათ , რა თვისებებითა და საქციელით ადამიანი შეიძლება გამხდარიყო გამორჩეული მმართველი რომელიც საპატიო ლიდერის წოდებას ატარებდა . ამან საფუძველი ჩაუყარა ,,დიდი ადამიანის” თეორიებს, რადგან მკვლევარები კონცენტრირებულნი იყვნენ იმ თანდაყოლილ და შინაგან

თვისებებზე, რაც დიდ სოციალურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო ლიდერებს ახასიათებდათ (მაგ. ეკატერინე დიდი, მაჰათმა განდი, ინდირა განდი, აბრაამ ლინკოლნი, ჟანა დარკი და ნაპოლეონ ბონაპარტი). მაშინ სჯეროდათ, რომ ადამიანები ამ თვისებებით იბადებოდნენ, და სხვა გარემოებები არ ზემოქმედებდა მათზე. ისინი ,,დიდი" ადამიანები იყვნენ"(9:2013. გვ23-27).

ლიდერობის ცნება და მნიშვნელობა მკვლევარმა წარმოადგინა ,,არა როგორც ხასიათისა და ქმედების ცვლილება , არამედ როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობა სოციალურ გარემოში. მართალია, პიროვნულ თვისებებს მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ მკვლევარების თანახმად ეს თვისებები კონკრეტულ გარემოსთან მიმართებაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული" (17:1996;,გვ:159-165) მიუხედავად კრიტიკისა,და არაერთი შრომატევადი კვლევისა ლიდერობის, როგორც თვისების განხილვამ დიდი ინტერესი გამოიწვია მკვლევარებს შორის. განსაკუთრებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმან, თუ რა გავლენას ახდენდა ადამიანის თვისება მისი ლიდერობის სტილზე Bryman, (1992). მკვლევარების Lord, DeVader, da Alliger (1986) მიერ ჩატარებული ანალიზისა და კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პიროვნული თვისებები მჭიდრო კავშირშია ადამიანის შეხედულებასთან ლიდერობაზე.

,,ლიდერობა, როგორც თვისება, ბოლო დროს საინტერესო გახდა იმ მკვლევარებისთვის, რომლებიც ხედვისმიერი ან ქარიზმატული ლიდერობით არიან დაინტერესებული" (Bass, 1990; Bennis & Nanus, 1985; Nadler & Tushman, 1989; Zaccaro, 2007; Zaleznik, 1997).

ქარიზმატული ლიდერობა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში 2008 წელს ამერიკის პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას არჩევის შემდეგ მოექცა, რომელიც სხვა ღირსებებთან და თვისებებთან ერთად, საკმაოდ ქარიზმატული პიროვნებაა და მისი თითოეული საქციელი, ნაბიჯი ნამდვილად შეეფერებოდა ლიდერის სტატუსს, რომელსაც რამდენიმე წელი ატარებდა .

,,კვლევაში, რომელიც შეისწავლიდა თუ რა განასხვავებს ქარიზმატულ ლიდერს არაქარიზმატული ლიდერისაგან, იუნგი აღნიშნავდა, რომ ქარიზმატული ლიდერები ფლობენ თვითყურადგებისა და კონტროლის,შთაბეჭდილების მართვის თვისებებს, მოტივაციას სოციალური ძალაუფლების მოპოვებისა, ყოველგვარი ძალისხმევისა და თვითრეალიზაციისათვის (11:2017.გვ8) მოკლედ რომ ვთქვათ, ლიდერობის, როგორც თვისებებისა და თეორიის ერთობლიობის განხილვა დღესაც აქტუალური და საინტერესოა . ამ თეორიაზე მუშაობა დაიწყო იმით, რომ მეცნიერები "დიდი ადამიანებისათვის" დამახასიათებელი თვისებების აღმოჩენას ცდილობდნენ, შემდეგ კვლევებმა თავაინთი მოულოდნელი შედეგებითურთ თანდათან მოიცვა სიტუაციისა და გარემოს გავლენა ლიდერობაზე. დღეს კი ეს მიდგომა ისევ დაუბრუნდა ქარიზმატული ლიდერობისთვის პიროვნული თვისებების კრიტიკულ და აუცილებელ მნიშვნელობას.

,,მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ლიდერის თვისებების შესახებ მთელი მე-20 საუკუნე მიმდინარეობდა და მასზე არაერთი ნაშრომი გამოიცა , მიდგომას ყველაზე კარგად შტოგდილლ (1948, 1974) აღწერს თავის ორ კვლევაში. პირველ კვლევაში, გაანალიზებულია 124 კვლევა, რომელიც მანამდე, 1904-1947 წლებში იქნა ჩატარებული ამ საკითხთან დაკავშირებით . მეორე კვლევაში მიმოხილულია 163 კვლევა, რომლებიც 1948-1970 წლებში ჩატარდა. თითოეული ამ კვლევის მიმოხილვა, წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ უთანაბრდება და ერწყმის კიდეც ინდივიდის თვისებები ლიდერობის მართვის პროცესს. პირველ კვლევაში ავტორი განსაზღვრავდა თვისებების ჯგუფს, რომლებიც კონკრეტული ადამიანის ლიდერად გახდომას ითვალისწინებდა . დასკვნა ასეთი იყო, რომ საშუალო სტატისტიკური ლიდერი განსხვავდებოდა საშუალო სტატისტიკური ჯგუფის წევრისაგან რვა მახასიათებლით: ინტელექტი, სიფხიზლე, გამჭრიახობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, შეუპოვრობა, თვითრწმენა და სოციალურობა" (16:1948. გვ 56-65).

ამავე კვლევის მიხედვით,პიროვნება ვერ გახდება ლიდერი მხოლოდ იმის გამო, რომ მას გარკვეული და მნიშვნელოვანი თვისებები გააჩნია. ლიდერთა თვისებები უნდა შეესაბამებოდეს იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციაში ლიდერებმა, შეიძლება სულ სხვაგვარად წარმოჩინონ საკუთარი თავი და ეს არღვევდეს ყოველგვარ სტერეოტიპს საზოგადოების თვალში. კვლევამ აჩვენა, რომ ლიდერობა არ შეიძლება იყოს პასიური მდგომარეობა, იგი იზრდება და ყალიბდება სამუშაო ურთიერთობებში ლიდერსა და ჯგუფის სხვა წევრებს შორის. ეს კვლევა გახდა ახალი იდეოლოგიის დასაწყისი, რომელიც ლიდერობის ქმედებებსა და ლიდერთა გარშემო არსებული სიტუაციების კვლევაზე იყო ორიენტირებული.

,,მეორე კვლევაში, რომელიც 1974 წელს გამოქვეყნდა, შტოგდილლ აანალიზებს 163 ახალ კვლევას და მათ შედეგებს პირველი კვლევის შედეგებს ადარებს. ეს კვლევა უფრო გაწონასწორებულა . პირველ კვლევაში ის აზრია გამოკვეთილი, რომ ლიდერობას ძირითადად სიტუაციური ქმედებები განაპირობებს, მეორე კვლევაში კი ავტორი აყალიბებს და ადასტურებს იმ აზრს, რომ ლიდერობას როგორც პიროვნული, ასევე სიტუაციური ფაქტორები განსაზღვრავს. რეალურად, მეორე კვლევა დამაჯერებლობას მატებდა თავისი დასკვნებითა და საბოლოო შედეგობრივი ნააზრევით, რომ ლიდერის პიროვნული თვისებები ლიდერობის განუყოფელი ნაწილია“ (17:1948.გვ71-79)

ისევე, როგორც პირველ კვლევაში, ავტორი, მეორე კვლევაშიც გამოყოფს თვისებებს, რომლებიც ლიდერობასთანაა კავშირში . საუბარია შემდეგ ათ თვისებაზე:

1. **პასუხისმგებლობა და საქმის შესრულების სურვილი;**

2. შეუპოვრობა და მხნეობა მიზნის მისაღწევად;

3. **რისკიანობა და ორიგინალურობა პრობლემების გადაჭრისას;**

4. **ინიციატივის გამოჩენა სოციალურ სიტუაციებში;**

5. **თვითრწმენა და პიროვნული იდენტობის გრძნობა;**

6. **პასუხისმგებლობა საკუთარი გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის შედეგზე;**

7. **მზაობა მიიღო ინტერპერსონალური სტრესი;**

8. **იმედგაცრუებისა და გაჭიანურების ატანის მზაობა;**

9. **შესაძლებლობა გავლენა მოახდინო სხვა ადამიანების ქცევაზე;**

10. **მოცემული მიზნისათვის, სოციალური ინტერაქციის სისტემის სტრუქტურიზება.**

2.2. თვითრწმენა, პატიოსნება და სოციალურობა

<u>თვითრწმენა</u> მეორე აუცილებელი თვისებაა, რომელსაც შეუძლია პიროვნება კარგ ლიდერად ჩამოაყალიბოს. თვითრწმენა გულისხმობს, რომ პიროვნება დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში. იგი მოიცავს საკუთარი თავის პატივისცემას, საკუთარი თავის დარწმუნების უნარს და იმის რწმენას, რომ შეგიძლია რყველაფერი გამოასწორო, გააუმჯობესო. ლიდერობა სხვებზე გავლენის მოხდენას ნიშნავს და თვითრწმენა ლიდერს სტიმულს აძლევს დაიჯეროს, რომ მისი მცდელობა, იყოს ლიდერი და გავლენა გავლენა მოახდინოს სხვებზე, სათანადო და გამართლებულია.

პატიოსნება უმნიშვნელოვანი და ღირსეული თვისებაა ლიდერთათვის. ეს თვისება გულისხმობს, რომ ამ ადამიანს შეგიძლია თვალდახუჭულს ენდო. ამ თვისების ადამიანები, რომლებიც გარკვეული მიზნებისთვის იბრძვიან, პასუხს აგებენ თავიათ ქმედებებზე. პატიოსანი ლიდერები რწმენას და თვითდაჯერებულობას მატებენ სხვებს, რადგან მიმდევრებს სჯერათ, რომ ისინი გააკეთებენ იმას, რასაც ამბობენ და რისიც სჯერა თავად საზოგადოებას. პატიოსანი ადამიანები ერთგულები და სანდონი არიან, ისინი არ იყენებენ ბოროტად სამსახურეობრივ უფლებებს ლიდერს პატიოსნება მას დამაჯერებელ და ჩვენი ნდობის ღირს ადამიანად წარმოგვიდგენს . ბოლო წლებში ჩვენს საზოგადოებაში ,პატიოსნებას უდიედესი მნიშვნელობა ენიჭება. ამერიკაში ადამიანები მოითხოვენ, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფი მმართველები უფრო გულახდილნი იყვნენ, რაც ძირითადად ორი ფაქტით არის განპირობებული: პრეზიდენტ ბუშის პოზიციით ერაყში მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებით და იმპიჩმენტის წამოწყებით კლინტონის პრეზიდენტობის დროს. გარდა ამისა, კორპორაციულმა სკანდალებმა (მაგ. კომპანია Enron-ის საქმესა და WorldCom-ზე) ადამიანები სკეპტიკურად განაწყო ლიდერების არაეთიკური საქციელის მიმართ. განათლების სფეროში ზოგადი განათლების სასწავლო გეგმაში უკვე მუშავდება ღირებულებების, ხასიათის თვისებების და ეთიკური ლიდერობის სწავლების ნაწილი. (მაგალითად, გადახედეთ პროგრამას ხასიათის თვისებები მნიშვნელოვანია, რომელიც კალიფორნიაში ჯოსეფსონის ეთიკის ინსტიტუტმა შეიმუშავა და ლიდერობის საყრდენი სვეტების პროგრამას რომელსაც ჯორჯიის შტატში ფენინგის ლიდერობის ინსტიტუტში ასწავლიან (რომ შევაჯამოთ, საზოგადება ლიდერებისაგან უფრო მეტ პატიოსნებას მოითხოვს).

„სოციალურობა - ლიდერთა ქცევის ბოლო მნიშვნელოვანი თვისება სოციალურობაა. სოციალურობაში ვგულისხმობთ ლიდერის მიდრეკილებას სასიამოვნოდ წარმართოს ურთიერთობები საზოგადოებასი . ასეთი თვისების

ლიდერები მეგობრულები არიან, ადვილად შედიან კონტაქტში, გამოირჩევიან გეგმებითა და დიპლომატიურობით. ისინი სხვის საჭიროებებსა და კეთილდღეობაზე ზრუნავენ და წინა პლანზე აყენებენ ამ თვისების შენარჩუნებას. სოციალურ ლიდერებს კარგი ინტერპერსონალური უნარები დამხარდამჭერებთან თანამშრომლობაზე დაფუძნებული განსაკუთრებული ურთიერთობები აქვთ „(9:2013. გვ23-27).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი განხილვები რამდენიმე ძირითად თვისებას ეხებოდა ეს ჩამონათვალი არ არის ყოვლისმომცველი და ყოვლისმთმელი , რადგან კიდე უამრავი ნიუანსი არსებობს რომლის ნახილვაზეც არაერთი მეცნიერი დგესაც აქტიურად მუშაობს რათა უფრო ფართო თვალთახედვით შევიცნოთ ლიდერის თვისებები და ხასიათი .

თავი III

მსოფლიო ლიდერები

3.1 იოსებ ბესარიონის ძე სტალინი

ალბათ ძალიან დიდი სია გამოგვივა, თუ მსოფლიოს ლიდერების ჩამოთვლას დავიწყებთ, თავიანთი მიღწევებით, მიზნებითა და პიროვნილი დახასიათებით, თითოეულ მათგანშია რაღაც საერთო და განმასხვავებელ თვისებები. ისინი გამორჩეულები არიან. პოლიტიკურ ლიდერს უდიდესი პასუხისმგებლობა და უნარი უნდა შესწევდელს ისტორიაში თავისი სახელი რომ დატოვოს. ზოგი ტირანად გადაიქცა საზოგადოების თვალში, ზოგი გააღმერთეს, გააიდეალეს და პატრიოტად შერაცხეს, გახდნენ ქარიზმატულები განათლებულები, უვიცები და ძალაუფლების მოყვარულები. მაგრამ ისინი ასე თუ ისე დადებითი თუ უარყოფითი თვისებების მიუხედავად, იწოდებიან მსოფლიო ლიდერებად, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო.

შორს რომ არ წავიდეთ და გასული XIX-XX საუკუნის ლიდერეზე ვისაუბროთ. უამრავ ინფორმაციას ვიპოვით პოლიტიკურ ლიდერეზე რომლებშიც მრავლადაა ქარიზმა, განათლება, ლიდერისთვის დამახასითებელი თვისებები და მიზნები.

თუ დავსვამთ კითხვას ვინ არის XIX- საუკუნის ლიდერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო, ყველას მაშინვე იოსებ სტალინი გაახსენდება, ადამიანი, რომლის დახასიათება სწორი და ზუსტი მიმართულებით შეუძლებელია, იმდენად ამოუცნობი პიროვნება იყო თავისი ნიჭითა და სიდიადით, რთულია მასზე ვილაპარაკოთ როგორც ცუდი მმართველი .

იოსებ სტალინის თვისებებზე არა მხოლოდ თავისი მხარდამჭერები საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ მის სიდიადეს, არამედ მისი მტრებიც. ყოველთვის ამოუცნობი რჩებოდა მისი თითოეულ სტრატეგიული, წინ გადადგმული ნაბიჯი. ის გამოირჩეოდა სიტუაციის აღქმის მაღალი უნარით და განვითარებული ინტუიციით. დაჯილდოებული იყო აზროვნების განსაკუთრებული სიმკვირცხლით და სიტუაციაში გარკვევის დროს სწრაფად და სწორად შეფასების უნარით. ერთ - ერთი მთავარი რამ რაც მის ძლიერ მხარეს გამოკვეთ, არის რისკი, ინიციატივის გამოჩენის უნარი. ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობებით აღსავსე დიდ ბელადს უმარტივდება რთული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლიდა ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას.

ჩემთვის როგორც ჩვეულებრივი შემფასებლისთვის, გამოვყოფდი მის განათლებასა და ხასითის სიძლირეს, მას ყველა ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისება ჰქონდა სიღრმისეულად გამოყენებული და ამაში პიროვნულ თვისებებთან ერთად ეხმარებოდა უმაღლესი ისტორიულ-პოლიტიკური განათლება, სწორად ჰქონდა გათვლილი სტრატეგია და უამრავ ნაშრომშიცაა აღბეჭდილი თუ როგორ იყენებდა ის განათლებას, წიგნებისადმი უდიდესი დამოკიდებულება კი მის გამჭრიახობასა და ინტელექტზეც ნათლად ჩანდა. უამრავი კრიტიკული შეფასების მიუხედავად, არსებობს პოლიტიკოსთა შეფასებები, რომელთა დამოკიდებულება ნათლად გამოხატავს სტალინის თვისებებს, მაგალითად... ამერიკელმა მეცნიერებმა ის ას საუკეთესო სახლემწიფო მღაწეთა სიაში შეიყვანეს, უდიდესი პოლიტიკოსი სერ

უინსტონ ჩერჩილი, მისი გარდაცვების შემდეგ პოლიტიკიდან წავიდა სიტყვებით: ,,პოლიტიკა უინტერესო გახდა...“(13:2015)

მეფის რუსეთის ღარიბი და გაუნათლებელი საზოგადოება სტალინმა მსოფლიოსში ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ერად ჩამოაყალიბა . სტალინის დროს აშენდა 1500-ზე მეტი უმსხვილესი ინდუსტრიული საწარმო, ამავე დროს დემოკრატიის ბოლო 25 წლის განმავლობაში რუსეთში არ აშენებულა ასეთი მასშტაბის არც ერთი საწარმო. მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგების მიუხედავად, უკვე 1947 წელს სსრკ-ს საწარმოო პოტენციალი საბოლოოდ იყო აღდგენილი, ხოლო 1950 წელს, იგი ორჯერ და მეტად გაიზარდა ომამდელ 1940 წელთა შედარებით. ომის დროს დაზარალებულმა ვერც ერთმა ქვეყანამ ამ დროისათვის ვერ მიაღწია თუნდაც ომამდელ დონეს, მიუხედავად უდიდესი ფინანსური მხარდაჭერისა აშშ-ს მხრიდან. ფასები კვების ძირითად პროდუქტებზე ომის შემდგომი 5 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ორჯერ შეცირდა, იმ დროს, როცა უმსხვილეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს ფასები საგრძნობლად იმატებდა , ზოგიერთში ორჯერ და მეტჯერაც კი. დასავლელმა მეცნიერებმა 1945 წელს გააკეთეს პროგნოზი, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა 1940 წლის უმაღლეს დონეზე გასვლას შეძლებდა მხოლოდ 1965 წელს - იმ შემთხვევას, თუ აიღებდა უცხოურ კრედიტებს . სსრკ გავიდა ამ დონეზე 1949 წელს ყოველგავრი გარე დახმარების გარეშე. არსებული სტატისტიკა და წარსული გვაძლევს იმის დასტურს, რომ განსაკუთრებით აღვნიშნოთ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის (ფოლადის კაცი) უდიდესი ლიდერის შესაძლებლობები. ის გახლდათ გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე და ძალიან ძლიერი ,,სსრკს“ ლიდერი ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში. მის შესახებ თანამედროვე პოლიტიკოსები წერდნენ:

,,გიორგი მარგველაშვილი- სტალინი იქნება აღქმული, როგორც ერთ–ერთი ძალიან დიდი მხედართმთავარი და ეს იქნება ის, რასაც დაწერენ სტალინზე, იმიტომ, რომ ის რეალურად იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი იმპერიის ხელმძღვანელი და აგრეთვე

მხედართმთავარი, რომელმაც მოიგო მეორე მსოფლიო ომი. ეს ორი მსოფლიო ომი კი იყო ევროპის უდიდესი ტკივილი და უდიდესი კატასტროფა, რომლის შედეგადაც, კაცობრიობა მივიდა იმ დასკვნებამდე, როგორ უნდა იცხოვროს ერთობლივად ევროპამ. სტალინს ამ გამარჯვებაში ლომის წილი აქვს, შესაბამისად, სტალინს მომავალში აღიქვამენ, როგორც ძალიან დიდ პოლიტიკოსს და ძალიან დიდ მხედარმთავარს“(13:2015)

,,ნინო ბურჯანაძე- საქართველოში სტალინის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა. არიან ადამიანები, რომლებიც მას დიდ პატივს სცემენ და ამაყობენ კიდეც მისი ქართული წარმომავლობის გამო. თუმცა, საკამათოა, რამდენად იყო მასში მხოლოდ ქართული ხასიათი — რევოლუცია მაინც გლობალიზაციის ნაწილია. არიან ადამიანები, რომლებიც მას ძალიან აკრიტიკებენ. ვფიქრობ, ის გამორჩეული ადამიანი იყო, არაორდინალური ადამიანი იყო, ის პიროვნება იყო და ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა. ის მსოფლიო ისტორიის ლიდერებს შორის არ იყო ყველაზე სისხლისმსმელი, ისევე როგორც ბოლშევიკებს შორის. თუმცა, იმ დროს საშინელი დანაშაულებები ხდებოდა. მაგრამ საკითხავია, ჰქონდა კი მას სხვა არჩევანი? ის საინტერესო პიროვნებაა, თუმცა, როცა დიდ ადამიანზე ვსაუბრობთ, მაინც ვისურვებდი, რომ მათ ბოროტება არ ჩაედინათ“ — განმარტა ნინო ბურჯანაძემ“ (13:2015)

"**კანდიდ ჩარკვიანი** — ქართველი პოლიტიკოსი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1938–1952 წლებში: „სტალინი იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომელიც დაჯილდოვებული იყო დიდი ბუნებრივი ნიჭით. ამავე დროს, კითხვის წარმოუდგენელი უნარით, რასაც, თვით მისი მტრებიც ადასტურებდნენ, ვინც მასთან ერთად ციხეში იჯდა. მე წავიკითხე რამდენიმე ესერის მოგონება სტალინის შესახებ — ისინი აღიარებენ ამ ფაქტს. განათლების მაღალ საფეხურს სტალინმა სწორედ კითხვის საშუალებით

მიაღწია. ყველაზე კარგად და ყველაზე უფრო დაუფლებული იყო სტალინი ისტორიას, ისტორია ძალიან უყვარდა და ისტორია იცოდა ზედმიწევნით. შემდეგაც, როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში იყო სტალინი, მაშინაც, ამ თავის მისწრაფებას და მიდრეკილებას არ ღალატობდა და ისტორიას ძალიან თვალყურს ადევნებდა. ვისაც სტალინის ჩანაწერები წაკითხული აქვს, ის მიხვდება, რომ ეს არის განათლებული და კულტურული ადამიანის ნაწერი. მას თავისი სტილი ჰქონდა — მოკლე, ნათელი — ისეთი, რომელიც სწორედ რევოლუციონერებს ესაჭიროებოდათ, რომ ხალხამდე მიეტანათ მარქსიზმის იდეები.ჩვენი ისტორიკოსები განცვიფრებულები იყვნენ ისტორიული ფაქტების ცოდნის იმ სიღრმით, რომელიც სტალინმა საუბარში გამოამჟღავნა. ასე რომ, ლაპარაკი იმაზე, რომ სტალინს აკლდა განათლება — სისულელეა“(13:2015)

„**უინსტონ ჩერჩილი** — ბრიტანელი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, „დიდი სამეულის“ ერთ-ერთი წევრი, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1940–1945 და 1951–1955 წლებში. ნობელის პრემიის 1953 წლის ლაურეატი ლიტერატურის დარგში: ,,მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერსა და ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს… მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც, არა მხოლოდ რუსეთს, არამედ მსოფლიოს გადაუარა“”(13:2015)

,,1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვიდან: „...ბატონებო! თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით გამოჩენილ პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალი სიმუსი სტალინი. რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. ის იყო ყველაზე გამოჩენილი ადამიანი, რომელიც

შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას".(13:2015)

„...სტალინს, უპირველეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის, აგრეთვე, ნათქვამის ზუსტად აღქმის გასაოჩარი ნიჭი ჰქონდა. თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში იმდენად დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და ეპოქის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა. სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ ჰქონდა. როცა იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, დამსწრე საზოგადოებას თითქოს უბრძანესო,ისე მოწიწებით ინსტიქტურად წამოდგებოდნე ფეხზე, რა გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ ჰქონდათ გაჭიმული" და მდუმარედ ელოდებოდნენ ბელადის სიტყვით გამოსვლას" (13:2015)

„...ის იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს, იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა სახელმწიფო. ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, და გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია. რაც არ უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს „(13:2015)

3.2. ადოლფ ჰიტლერი

საინტერესოა სამყაროში მნიშვნელოვანი და ერთი -ერთი, წარმოშობით ავსტრიელი, ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის ლიდერი და გერმანიის კანცლერი ადოლფ ჰიტლერი, რომელიც მოღვაწეობდა 1933-1945 წლებში.

ჰიტლერი ყოველთვის გამორჩეული იყო საკუთარი თავის სიდიადითა და ქარიზმატულობით. მის დახასიათებებში ვერ ვიპოვით იმდენ დადებით და კეთილშობილ ინფორმაციას, რამდენსაც სტალინის შესახებ, თუმცა სამაგისტრო ნაშრომისთვის თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, რომ ჰიტლერის, როგორც პოლიტიკური ლიდერის შესახებ მცირედ მაინც უნდა ვისაუბროთ, ვინაიდან ეს მოგვცემს იმის საშუალებას, ვისაუბროთ ორი უდიდესი პოლიტიკური ლიდერის შესახებ. მისი მმართველობა სისადისტით გამოირჩეოდა და უნდა ითქვას ისიც, რომ თვით გერმანელებიც კი არ აღიარებდნენ მას კარგ ლიდერად, ჰიტლერის დამახასიათებელი თვისება, რასიზმი იყო მხოლოდ ძალისმიერი მეთოდები, ბრძოლა და სისხლის ღვრა იყო, მიუხედავად მისი სისადისტისა ბევრ რამეს მიღწია და შეცვალა იმდროინდელი ისტორია, მას უმრავი სხვადასხვა გამონათქვამი ჰქონდა, რომელიც პირდაპირ მიანიშნებდა მის პიროვნულ თვისებებზე, მაგალითად: ,,**გაიტანეთ ჩემი ოთახიდან საათები, მე თვითონ გადავწყვეტ რა დროა**“, ,,**ჰუმანურობა ეს სისულელის და სიმხდალის გამოხატვაა**“ (7:200. გვ.34)

,,მისი ერთერთი დადებითი თვისება საკუთარი მეომრების მიმართვა და პატრიოტიზმის აღძვრა იყო, ის იმდენად ფსიქოლოგიურად საუბრობდა, რომ მებრძოლთა მთავარი შემართება მხოლოდ გამარჯვება გახლდათ, მას უყვარდა გერმანელი ხალხი და თვლიდა, რომ სხვა არავინ არ უნდა არსებობდეს გარდა გერმანელისა: ,,**გერმანია ან მსოფლიოს ბრძანებელი იქნება ან**

არადა არაფერი“, ,,ტერორი მხოლოდ სიმართლის გზითაა გამართლებული, სიმართლე რომელსაც სამშობლო ჰქვია“, ,,მე თუ დამნაშავე ვარ, მხოლოდ იმაში, რომ გერმანელი ხალხის უფებებისთვს ვიბრძვი“. მისი იდეალიზმის სჯეროდა საზოგადოებას, რომელსაც უნდა ებრძოლა და აუცილებლად უნდა გაემარჯვა, დრო გავიდა და ჰიტლერი იქცა ნაციონალისტად, რომელსაც ერთადერთი დევიზი ჰქონდა - ,,გზა პირველობისაკენ“. მიუხედავად ყველაფრისა, ის არის შემდგარი მსოფლიო პოლიტიკური ლიდერი თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით“(7:200. **გვ.34**).

3.3. მუარამ კადაფი

ადამიანი, პიროვნება რომლის პირველობა ქვეყანაში ეჭვს დღევანდელ დღემდე არ იწვევდა, არასოდეს ყოფილა ფორმალურად პირველი, ის ყოველთვის გამოირჩეოდა განსხვავებულობით, ორიგინალობით და განსხვაებული იდეებით, კადაფი განდიდების მანია მთელი ცხოვრება აწუხებდა და ამ სენით ღრმად იყო შეპყრობილი. მისი გამოსვლები და ტრიბუნასთან გამოთქმული ფგრაზები ზედმეტად ქარიზმატული იყო: "**მე მომიტინგეთა წინააღმდეგ ძალა არ გამომიყენებია, იმიტომ რომ ლიბიაში დემონსტრაციები არ იმართება. თუ იმართება, მხოლოდ ჩემს მხარდასაჭერად. მე ხალხს ვუყვარვარ და ისინი მზად არიან, ჩემი გულისთვის სიცოცხლე გაწირონ**" (7:200. **გვ.36**). - ეს განცხადება მუამარ კადაფიმ გააკეთა.

მოსახლეობის სრული გაკონტროლების მიზნით, ლიბიის ყველა სკოლის პროგრამიდან ამოიღო უცხო ენების სწავლება. ის ფიქრობდა, რომ მისი შესწავლა ხელს შეუშლიდა საზოგადოების დამორჩილებაში.

მიუხედავად მისი მრავალი უარყოფითი მხარეებისა, ის ცდილობდა თავისი მოსახეობისთვის, ხალხისთვის მაქსიმალურად შეემსუბუქებინა რთული ყოფითი ცხოვრება ,,ხელს უწყოდა მოსახლეობას გადასახადების გადახდასა და სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებში. მისი რეფორმები დღეს კიდევ აქტუალურია და

გამოსაყენებლად ძალზე ეფექტური, მაგალითად წყლის სისტემა, რომელიც მისი მმართველობის პერიოდში შეიქმნა და რომელსაც კადაფი მსოფლიოს მერვე საოცრებად მოიხსენიებს. მისი მმართველობის დროს, ლიბიაში:

1. ბენზინი წყალზე იაფი ღირდა. 1 ლ. ბენზინი — 0, 14 $.

2. ახალდაქორწინებულები სახელმწიფოსგან 64 000 $ იღებდნენ, ბინის შესაძენად.

3. ყოველ ახალშობილზე, ერთჯერადი დახმარება 7 000 $ იყო.

4. განათლება და სამედიცინო მომსახურება იყო უფასო.

5. კომუნალური და უძრავი ქონების გადასახადი — არ არსებობდა.

6. მოსახლეობა არ იხდიდა დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს.

7. სახელმწიფო აფინანსებდა განათლებას და სტაჟირებას საზღვარგარეთ.

8. ოჯახის ყოველ წევრს, სახელმწიფო, ყოველწლიურად, 1 000 $ ურიცხავდა, დოტაციის სახით.

9. მრავალშვილიანი ოჯახებისთვის არსებობდა მაღაზიების ქსელი, სადაც ძირითად საკვებ პროდუქტებზე ფასები სიმბოლური იყო.

10. ვადაგასული პროდუქტების რეალიზაციის შემთხვევაში — დიდი ფულადი ჯარიმა და თავისუფლების აღკვეთა იყო დაწესებული.

11. უმუშევრობის შემწეობა — 730 $.

12. კერძო ბიზნესის დაწყების შემთხვევაში, ერთჯერადი დახმარება — 20 000 $.

13. აკრძალული იყო მაღალი გადასახადები და მოსაკრებელი.

14. ავტომობილის შეძენის შემთხვევაში, თანხის ნახევარს სახელმწიფო ფარავდა, ხოლო სამხედრო პირებისთვის, დახმარება 65%-მდე იზრდებოდა.

15. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ერთ სულ მოსახლეზე — 14 192 $ შეადგენდა.

16. ბინისა და ავტომობილის შეძენისას, კრედიტი — უპროცენტო იყო.

17. აფთიაქების ნაწილი — მედიკამენტებს უფასოდ გასცემდა.

18. მედიკამენტების ფალსიფიკატორებს სიკვდილით სჯიდნენ.

19. აკრძალული იყო უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის საშუამავლო მომსახურება.

20. მისი მმართველობის 40 წლის მანძილზე, ლიბიის მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა. ბავშვთა სიკვდილიანობა 9-ჯერ შემცირდა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 51, 5-დან – 74, 5 წლამდე გაიზარდა.

21. აკრძალული იყო სპირტული სასმელის გაყიდვა და მოხმარება — მოქმედებდა «მშრალი კანონი».

22. ქვეყნის სამხრეთში მცხოვრები შავკანიანები, ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები გახდნენ და მათი უფლებები, არაბების უფლებებს გაუთანაბრდა.

23. დაიხურა НАТО-ს ბაზები.

24. მისი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ქვეყანაში აიკრძალა საერთაშორისო კორპორაციები.

25. მისი მმართველობის დროს, განხორციელდა ყველაზე დიდი საინჟინრი პროექტი მსოფლიოში – ეს არის მილების ურთულესი სისტემა, რომელიც უდაბნოს და სანაპირო რეგიონებს, წყალს აწვდის ნუბის მიწისქვეშა წყლებიდან. ზოგიერთი შეფასების თანახმად, ეს ყველაზე მასშტაბური ირიგაციული პროექტი არის კაცობრიობის ისტორიაში: მილების და აკვადუკების უდიდესი სისტემა, რომელიც 500 მ. სიღრმეზე, 1300 ჭაბურღილს შეიცავს, ტრიპოლს, ბენღაზს, სირთას და სხვა ქალაქებს, 6 500 000 $მ^3$ სასმელ წყალს აწვდის ყოველდღიურად “(**7:200. გვ.40-45**).

4 თავი

კვლევის შედეგები და ანალიზი

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა შეაფასებს, საქართველოში ლიდერის ფენომენს და მის თავისებურებებს. განსაზღვრავს თუ რამდენად არის ინფორმირებული საზოგადოება ლიდერობის არსებობის შესახებ. სულ გამოვიკითხეთ 120 რესპოდენტი.

გამოკითხვის პრცესისთვის გამოყენებული იქნა ელექტრონული ანკეტირება „ gmail forms" – ის სისტემა, როდესაც რესპოდენტს ელექტრონულად შეუძლია უპასუხოს კითხვარს , ავსებს დამოუკიდებლად და დასრულების შემდეგ ელექტრონულად, ავტომატურად ეგზავნება მკლევარს. აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაძლებელია სტატისტიკურად ერთიანად დამუშავებული მონაცემების გადმოტანა. აქვე მინდა აღვნიშნო , რომ ელეტრონული გამოკითხვის არჩევას გქონდა სხვადასხვა მიზეზი :

1. ელექტრონული გამოკითხვა დამეხმარა გამეგო საქართველოს სხვადსხვა ქალაქში , რეგიონში თუ სოფელში მყოფი ადამიანიების მოსაზრებები.
2. აღნიშნული გამოკითხვა რესპოდენტებისათვის ძალიან მარტივი და კომფორტული გამოდგა , ვინაიდან სწრაფად და მარტივად აფიქსირებდენ თავიანთ მოსაზრებებს.

ახლა, კი გადავიდეთ უშუალოდ კითხვარის აღწერაზე. კითხვების უმრავლესობა იყო დახურული ტიპის, რადგანაც მათზე პასუხის გაცემა უფრო მარტივია და გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდა. ასევე მათი ანალიზიც მარტივია. ამ ტიპის კითხვებით მომეცა საშუალება რაოდენობრივი მონაცემები დამემუშავებინა სტატისტიკურად, გამოკითხვის ბოლოს მოხდა პასუხების შეჯამება და მათი პროცენტული მაჩვენებლით გამოსახვა. ხოლო რაც შეეხება ღია კითხვებს, მათ შემთხვევაში თითოეულ რესპოდენტს ქონდა შესაძლებლობა კონკრეტულად თავისივე პასუხის დაფიქსირების.

კითხვარის დასაწყისში რესპოდენტი პასუხობდა მისი ასაკის, სქესის, განათლებისა და დასაქმების შესახებ დასმულ კითხვებს. ხოლო დანარჩენი კითხვები უშუალოდ

საკვლევ თემატიკას ეთმობოდა. ამ ყველაფრის საფუძველზე კი მომზადდა კვლევის შედეგები, დასკვნა და ა.შ

1. **ასაკი**



120 გამოკითხულ რესპოდენტთა შორის იყო:

- ✓ 16-21 წელი -27 რესპოდენტი.
- ✓ 22-35 წელი – 54 რესპოდენტი
- ✓ 36 – 55 წელი - 29 რესპოდენტი
- ✓ 56-ზემოთ - 10 რესპოდენტი

2. სქესი



გამოკითხულთა 39 % მდედრობითი, ხოლო 76 % მამრობითი ასაკის იყო.

3. განათლება



სამაგისტრო ნაშრომის კვლევაში გამოკითხულთა განათლება საკმაოდ მნიშვნელოვანია პასუხების გასაანალიზებლად. ჩვენ ვეცადეთ, რომ რესპოდენტები საშუალო არითმეტიკულად დაგვეყო და ყველა კატეგორიის გამოკითხულთა აზრი ერთად შეგვეჯერებინა. კერძოდ, გამოკითხულთა შორის განათლების შესხებ ინფორმაცია ასე გადანაწილდა:~

- ✓ არასრული საშუალო - 17 %
- ✓ საშალო - 19 %
- ✓ უმაღლესი - 83 %

4. **პროფესია**

გამოკითხულთა მიხედვით, გვყავდა როგორც პედაგოგები, პროფესორები, სტუდენტები, დამლაგებლები, მძღოლები, ხელოსნები, იურისტები. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ინტერვიუში, მონაწილეობა მიეღო საზოგადოების თითქმის ყველა პროფესიის წარმომადგენელს, რამაც მოგვცა იმის რეალური შესაძლებლობა, დაგვედგინა და გვეპოვა კითხვაზე პასუხი, ვინ არის ლიდერი, რა ფუნქცია აკისრია ლიდერს, რა როლი აქვს როგორც საზოგადოების ვიწრო წრეში, ასევე სახელმწიფოსთვის ლიდერს, როგორც მმართველს და მნიშვნელოვან ფიგურას.

5. **ხართ თუ არა დასაქმებული?**



გამოკითხულ რესპოდენტთა 59% დასაქმებულია, 40 % დაუსაქმებელი, ხოლო 1 % დროებით უმუშევარი.

6. **როგორ გესმით ცნება ,,ლიდერი“**



გამოკითხულ რესპოდენტთა 50 % ფიქრობს, რომ ცნება ,,ლიდერი“ ასოცირდება ეგოისტ, ზედმეტად თავდაჯერებულ, ამბიციურ ადამიანად, 48 % თვლის, რომ უნდა იყოს მმართველი, კარგი მენეჯერი, ხოლო ლიდერის განსაკუთრებულობას მხოლოდ 2 % აღიარებს.

7. **აუცილებელია თუ არა ლიდერი იყოს მკაცრი?**



კითხვაზე, აუცილებელია თუ არა ლიდერი იყოს მკაცრი, გამოკითხულთა 55% პროცენტი ფიქრობს, რომ არ უნდა იყოს მკაცრი, 35% მის სიმკაცრეზე ამახვილებს ყურადღებას, 27 % თვლის რომ მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო 3 % -მა არ იცის უნდა იყოს თუა არა ლიდერი მკაცრი.

8. **საჭიროა თუ არა ფლობდეს ლიდერი ეთიკურ ნორმებს?**



გამოკითხვის პროცესში, კითხვაზე, საჭიროა თუ არა ლიდერი ფლობდეს ეთიკურ ნორმებს, 80% თვლის, რომ აუცილებელია ეთიკის ნორმების შესრულება, 3 % თვლის, რომ არ არის აუცილებელი, ხოლო 17 % საერთოდ არ დაინტერესებულა მსგავსი საკითხით.

9. კითხვაზე, **საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, კერძოდ, პოლიტიკოსების მხრიდან, ვინ გახსენდებათ ეთიკური ნორმების დარღვევაში და ლიდერის, როგორც პოლიტიკოსის მხრიდან არაეთიკური საქციელის გამოვლენა, 120 რესპოდენტიდან შემდეგი პასუხები მოვისმინეთ:**

ა) ყველა პოლიტიკური ფიგურა არღვევს ნორმებს – 50 %,

ბ) ეკა ბესელია - 2 %,

გ) მიხეილ სააკაშვილი - 32 %

დ) ნიკა გვარამია - 10 %

ე) სხვა დანარჩენი: სალომე ზურაბიშვილი, ბიძინა ივანიშვილი, დავით უსუფაშვილი, სოსო ჯაჭვლიანი, გიგი უგულავა და სხვა მრავალი პოლიტიკოსი - 6 %

10. **საინტერესო პასუხები მივიღეთ კითხვაზე : რა შეცდომა არ ეპატიება ლიდერს? და უნდა გააჩნდეს თუ არა აღიარებისა და ბოდიშის მოხდის უნარი?**

- სისწრაფე და დაუფიქრებელი მოქმედება არ ეპატიება, უნდა იყოს დინჯი და რა თქმა უნდა ბოდიშიც უნდა მოუხადოს მოსახლეობას
- უპასუხისმგებლობა
- ლიდერს არ ეპატიება თავისი ქვეყნის ღალატი , რა თქმა უნდა უნდა გააჩნდეს თუ დამნაშავეა
- მოსყიდვა, რათქმაუნდა უნდა გააჩნდეს აღიარების უნარი
- რათქმაუნდა უნდა გააააჩნდეს აღიარებსა და ბოდიშის მოხდის უნარი, უსამართლობას ვერ ვაპატიებდი ..

- ლიდერს არ ეპატიება დაუფიქრებლად გადაწყვეტილების მიღება , მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს აღიარებისა და ბოდიშის მოხდის უნარი
- არცერთი შეცდომა არ ეპატიბა
- არ ეპატიება ძალადობა , რათქმაუნდა უნდა გააჩნდეს
- ხალხის შუა გზაში მიტოვება რათქმაუნდა უნდა გააჩნდეს
- ტყუილი
- უნდა გააჩნდეს
- შეურაცყოფას ვერ ვაპატიებდი
- აუცილებელია იყოს ძლიერი და მოიხადოს ბოდიში
- არ ეპატიება ძალადობა, არ არის აუცილებელი ბოდიში მოიხადოს, აჩვენოს საზოგადოებას შეცდომის სინანული
- უნდა გააჩნდეს აღიარება ყველას უნდა შეეძლოს
- მან არ უნდა იმოქმედოს სუბიექტურად ან ობიექტურად, მარტივად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და უნდა გააჩნდეს ბოდიშის მოხდის უნარი
- უსამართლოდ დასჯა თანამშრომლების , აღიარებისა და ბოდიშის მოხდის უნარი სავალდებულოა
- დიახ უნდა გააჩნდეს აღიარებისა და ბოდიშის მოხდის უნარი
- უსამართლობა არ ეპატიება , უნდა შეეძლოს აღიარებაც და ბოდიშის მოხდაც
- თანამდებობის პირადი მიზნების გამოყენებაა , ლიდერს უნდა გააჩნდეს აღიარებასა და ბოდიშის მოხდის უნარი , ეთიკური ნორმების დაცვა ზრდილობიანი პიროვნების საწინდარია
- უსამართლობას არ ვაპატიებდი და სუბიექტურობა უნდა გააჩნდეს .
- არ ეპატიება არაფერი
- ძალადობა . უყურადღებობა გულგრილობა
- ლიდერი ყოველთვის დაუშვებს შეცდომას და რა თქმა უნდა არ მოიხდის ბოდიშს.

- მოსყიდვა , რა თქმა უნდა გააჩნდეს აღიარების უნარი
- დიახ უნდა გააჩნდეს აღიარებისა და ბოდიშის მოხდის უნარი
- სიცრუე
- არ უნდა დაუშვას შეცდომა
- არ უნდა ვაპატიოთ რასიზმი , და ძალადობა უცილებელია ბოდიშის მოხდა
- შეურაცყოფა აუცილებლად

11. კითხვაზე, ადამიანები ლიდერებად იბადებიან თუ ყალიბდებიან? პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდა



ა) ყალიბდებიან - 42 %

ბ) იბადებიან - 14 %

გ) ორივე შემთხვევა მისარებია - 37 %

დ) არვიცი არ მიფიქრია - 7 %

როგორც კვლევა გვიჩვენებს, 120 გამოკითხული რესპოდენტიდან, 42 % მაინც მიიჩნევს, რპ, ლიდერებად ყალიბდებიან დროთა განმავლობაში მიღებული პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა საინტერესოა, რომ 37 % ნამდვილად მიიჩნევ, რომ ლიდერის თვისება დაბადებიდან ადამიანს მაინც უნდა გააჩნდეს და თან პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდეს.

12. ლიდერის ინსტიტუტის შესახებ, კერძოდ, არსებობს თუ არა მსგავსი ინსტიტუტი საქართველოში პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდა:

ა) კი - 17 %

ბ) არა-50 %

გ) არვიცი -33%



13. კვლევაში საინტერესო აღმოჩნდა პირველი სამი ლიდერი, რომელიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო რესპოდენტთა თვალთახედვიდან.

- სტალინი, მიხეილ სააკაშვილი , ვლადიმერ პუტინი, ედუარდ შევარდნაძე - 66 %
- ნიკო ნიკოლაძე , ნოე ჟორდანია, კარლ მაქსი, ხრუშჩოვი , ბერია - 20 %
- ზურაბ ჟვანია, სალომე ზურაბიშვილი ; კახი კალაძე - 20 %
- ბიძინა ივანიშვილი; - 10 %
- არ მახსენდება - 4 %

აღსანიშნავია, რომ ძლიერ ლიდერთა კატეგორიაში იყო გამონაკლისებიც, სადაც ნახსენები გახლდათ თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ჩე გევარა, ასლან აბაშიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ვანო მერაბიშვილი, აკაკი წერეთელი, აბრაამ ლინკონი, დავით ბაქრაძე და ა.შ. რაც გვაძლევს სრულყოფილად და დადასტურებულად ვთქვათ, რომ საზოგადოებას ლიდერი თავისი შინაგანი ნდობის, პატივისცემისა და გარკვეული პიროვნული მსგავსებების საფუძველზე ჰყავს შერჩეული.

ხოლო ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან ვის მიიჩნევენ პოლიტიკურ ლიდერად, მე - **14 კითხვაში** კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა, გარკვეულ პოლიტიკოსებს აქვთ ლიდერის მიმართ განსაკუთრებული მიდგომა. მოულოდნელი აღმოჩნდა 120 რესპოდენტთაგან 48 % დღემდე ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიიჩნევს ლიდერად, 31 % ბიძინა ივანიშვილს, კახი კალაძეს 5 %, ირმა ინაშვილს 5 %, შალვა ნათელაშვილს 6 %, ეკა ბესელიას 3 %, დავით უსუფაშვილს 2 %, ირაკლი კობახიძესა და ირაკლი ოქრუაშვილს 0 %. რაც შეეხება მოქმედ პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს, მას საზოგადოება სამწუხაროდ ლიდერის თვისებებით საერთოდ არ ახასიათებს.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანი **მე-15 კითხვა,** სადაც რესპოდენტები პასუხობდნენ შეკითხვას, ვის მიიჩნევდნენ წარსულ ისტორიაში პოლიტიკურ ლიდერებად, რამაც ასეთი შედეგი გვაჩვენა

- ✓ **იოსებ სტალინი - 37%**
- ✓ **ედუარდ შევარდნაძე - 7 %**
- ✓ **ზვიად გამსახურდია - 33 %**
- ✓ **ზურაბ ჟვანია - 14 %**
- ✓ **არცერთი მათგანი- 3 %**



მოცემული კვლევა გვიჩვენებს, რომ **იოსებ სტალინი** დღემდე რჩება შეუცვლელ ლიდერად, თუმცა გამოკითხულთა 3 % თვლის, რომ ლიდერი საქართველოს არ ჰყოლია, არ ყავს და არც არასდროს ეყოლება, რის მიზეზად ადასტურებენ საზოგადოების არასტაბილურ, არასერიოზულ და არაპროფესიონალურ ხასიათს.

სამაგისტრო კვლევაში ინტერესის სფეროში გამოიკვეთა მოქმედი პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიმართ დამოკიდებულება და მისი, როგორც

ლიდერის ხასიათის გამოკვეთა. **მე - 16 კითხვაში** - როგორ მიგაჩნიათ, სალომე ზურაბიშვილი არის თუ არა ძლიერი ქალი ლიდერი? ასეთი შედეგი მივიღეთ

კი - 8 %

არა - 67 %

მეტნაკლებად - 8 %

აზრზეც არ არის ლიდერის ფუნქციის - 17 %



სამაგისტრო კვლევაში, რომელმაც ასაკობრივი და პროფესიული ზღვარი სრულად გავმიჯნეთ, საინტერესო იყო ბოლო კითხვა, კერძოდ, როგორ ფიქრობთ, როგორი ლიდერი უნდა ჰყავდეს საქართველოს, შემდეგი პასუხები მივიღეთ:

- ✓ მოსამართლე და მოწყალე მორჭმული გამგებიანი

- ✓ ადამიანი, რომელიც არ მოატყუებს ჩვეულებრივ მოსახლეობას, იზრუნებს ერზე და მათ პრობლემებზე , იქნება ხალხის გვერდით
- ✓ ჭკვიანი
- ✓ ძლიერი მიზანდასახული , განათლებული
- ✓ საქართველოს ესაჭიროება ძლიერი ლიდერი , განათლებული და ისეთი პიროვნება , რომელიც ინებებს ქვეყნის მდგომარეობას კარგად
- ✓ ისეთი ლიდერი უნდა ჰყავდეს საქართველოს , რომელზეც ქვეყანა და ხალხი იზრუნებს და არა საკუთარ თავზე , ექნება კრიტიკული აზროვნება და სწორად იმსჯელებს პრობლემებზე
- ✓ ეროვნებით ქართველი და მოტივირებული
- ✓ მიზანდასახული და ა.შ
- ✓ კარგი მმართველი დაა მენეჯერი , დიპლომატიური უნარების მქონე და ჭკვიანი, რომელიც ომისა და სისხლის ღვრის გარეშე დაალაგებს ურთიერთობებს მტრებთან, აღდგეს თანამშრომლობა მეზობელ სახელმწიფოებთან მაგ.. რუსეთთა ვინაიდან მე მჯერა მოაზროვნე მმართველის და ვფიქრობ უნდა აღდგეს მეგობრობაა და დავიბრუნოთ აფხაზეთი და ოსეთი
- ✓ ძლიერი, კომუნიკაბელური, კავშირების მქონე, განათლებული
- ✓ თავისი ქვეყნის პატრიოტი
- ✓ მისაბაძი , სამაგალითო
- ✓ საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი გამოცდილი, წინდახედული და გამჭრიახი ლიდერი.
- ✓ მებრძოლი
- ✓ პირველ რიგში პატრიოტი და ქვეყნის მოყვარული , ასევე თავისი ქვეყნის რელიგია უნდა უყვარდეს .
- ✓ იდეალური,მშრომელი

- ✓ უშიშარი , სამართლიანი , მტკიცე ნებისყოფის , განათლებული , ტრადიციული , რელიგიური
- ✓ გულწრფელი
- ✓ საზრიანი და ლოიალური
- ✓ დინჯი და სამართლიანი
- ✓ ლამაზი და კეთილი
- ✓ განათლებული, მიზანდასახული
- ✓ უშიშარი სამართლიანი , მტკიცე ნებისყოფის , განათლებული ტრადიციული რელიგიური

აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა სურვილები, თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს, სადაც ერთპიროვნულად, ყველას სურვილი არის:

- ✓ ნატო
- ✓ ჰყავდეს ნორმალური ლიდერი
- ✓ გამთლიანება
- ✓ გამთლიანებული საქართველო
- ✓ განსაკუთრებული მომავალი პენსიონერებს , სწორი პოლიტიკური კურსი ; ერთიანი საქართველო
- ✓ სურვილი რათქმაუნდა დიდია მაგრამ ასეთი პოლიტიკით ბედნიერი საქართველოსი აღარ მჯერაა
- ✓ ჩემი სურვილია საქართელოს გამთლინება , დაკარგული ტერიტორიების შემოერთება და უზრუვნელყოფა მცხოვრები ხალხის , მშვიდი და ჰარმონიული სამშობლო შიშის გარეშე
- ✓ პენსიები უნდა გაიზრდოს , მოხუცებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი მედიკამენტებთან , უნდა იყოს მედიკამენტებთან ფასი ხელმისაწვდომი და მისაღები

- ✓ პრეზიდენტი ან შეიცვალოს ან გაუქმდეს საპრეზიდენტო არჩევნები
- ✓ მინდა ვიხილო გაერთიანებული საქართველო, ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობა
- ✓ ვიხილო დამოუკიდებელი საქართველო , ასევე რაც მთავარია გაერთიანებული
- ✓ მეტი განათლებული ერი და იქნება საქართველო ბედდნიერიც და დამოუკიდებელიც
- ✓ ჩემი სურვილია რომ საქართველოს ლიდერი ოყოს მიზანმიმართული ქვეყნისთვის , სიკეთის მომტანი , უნდა გააერთიანოს ქვეყანა და გააუმჯობესოს ცხოვრების პირობები.
- ✓ მინდა, რომ მშვიდი და თავისუფალი საქართველო იყოს , ასევე განათლების მაღალი დონე უნდა იყოს დაა ბევრი დასქმებული სამუშაო ადგილები .
- ✓ დაბრუნდეს საბჭოთა რეჟიმი
- ✓ ვისურვებ რომ ჩვენი დაკარგული ტერიტორიები დაგვიბრუნდეს და მშვიდი ქვეყანა გვქონდეს, ასევე მორწმუნე და ხალხის პრინციპეპზე მორგებული ქვეყანა იყოს
- ✓ საწვავის ფასის დაწევა
- ✓ რწმენაშიი განმცკიცება , ეროვნულობის მტკიცედ დაცვა, გონიერებაა უნდა იყოს მაამოძრავებელი ძალა , მხოლოდ ამგვარად მივაღწევთ განვითარებას
- ✓ კარგი მმართველი ჰყავდეს .
- ✓ ნამდვილი თავისუფლება და არა მოჩვენებითი .
- ✓ ერთიანობა და სიმტკიცე
- ✓ განათლებული მომავალი თაობა
- ✓ რელიგიური სიმტკიცე და ერის ერთობა
- ✓ ნამდვილი თავისუფლება და არა მოჩვენებითი

- ✓ კარგი მმართველი ჰყავდეს
- ✓ ერთიანი საქართველო
- ✓ მთლიანობა და ეკლესიის სიმტკიცე
- ✓ თავისუფლება და ერთიანობა
- ✓ რწმენაში განმტკიცება ეროვნულობის მტკიცედ დაცვა და გონიერება უნდა იყოს მამოძრავებელი ძალა მხოლოდ მგვარად მივაღწევთ განვითარებას

დ ა ს კ ვ ნ ა

საბოლოოდ შეიძლება იმის თქმა, რომ ლიდერობა ადვილი არ არის და მისი განხორციელება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ლიდერს უწევს თავისი ფუნქციების განხორციელებისას მთელი რიგი საკითხების წინასწარ გათვლა, რადგან მისი შემდგომი ნაბიჯი სწორად გადადგმული გამოვიდეს. წინასწარ რაიმეს გათვალისწინება არ შეუძლია ისეთ ადამიანს, რომელიც სხვას არ უსმენს და არ იზიარებს სხვის აზრს. აქედან გამომდინარე, ლიდერობა შეიძლება ჩავთვალოთ ერთგულების ნიჭად, რადგან ყველა ადამიანი ბუნებით ლიდერი ვერ იქნება.

იყო ლიდერი ძალიან ბევრს ნიშნავს და მე ვთვლი ,რომ ეს ყველას არ შეუძლია. ყველა ვერ შეძლებს ზიდოს ლიდერის ტვირთი. ლიდერობის ტვირთის ზიდვა როგორც ვიცით ადამიანებს სხვადასხვაგვარად უწევთ : ზოგი ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს ლიდერის ყველა თვისებას, ზოგი მხოლოდ რამდენიმეს, ზოგს კი სულ არ აწუხებს ის, რომ მასში ლიდერის ფენომენი ნაკლებად არის. ადამიანი საზოგადოების ყველა სფეროში ერთნაირად ვერ იქნება ლიდერი, მაგრამ უნდა იცოდეს, თუ ვის რომელ სფეროში დაავალოს ამა თუ იმ საკითხების მოგვარება. ამრიგად იკვეთება ლიდერის

მოქმედების მთავარი მიზანი, მოაგვაროს ის საკითხები, რომლებიც მის წინაშე დგას და შეასრულოს ის მოვალეობა, რაც მას ხალხმა დააკისრა.

იმისათვის , რომ ლიდერი მზად იყოს ხალხის წინამძღოლობისთვის, ჩემი აზრით აუცილებელია მან ჯერ თავის თავში აღმოაჩინოს ლიდერის ის თვისებები, რომელიც მას სჭირდება საკუთარი თავის შესაცნობად, ან უნდა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები და უკვე შემდგომ მოხდება მისი ლიდერად ჩამოყალიბება. ლიდერის ფენომენი თანამედროვე საზოგადოებაში ძალიან დიდია, რადგან ლიდერი თავისი ფუნქციების განხორციელებით გარკვეულწილად რაღაც მისიას ასრულებს ხალხის წინაშე, რომელიც აუცილებელია თავისი და აგრეთვე ხალხის კეთილდღეობისთვის. ამიტომ იყო ლიდერი ნიშნავს შეეჭიდო რთულ პრობლემებს, რომლებიც ეხება საზოგადოებას და რომლის გადაჭრასაც მოითხოვს ხალხი ლიდერისგან. აქედან იკვეთება მისი მიზანი , რომელიც მდგომარეობს შემდეგში, მან უნდა დაივიწყოს ის რის გამოც აირჩია ხალხმა და აღიარა ლიდერად, რისთვისაც დაიმსახურა ხალხის ნდობა. ამიტომ ლიდერმა ყველა ნაბიჯი სიფრთხილით უნდა გადადგას და უნდა გაამართლოს საზოგადოების იმედები.

,,ლიდერობა'' - ეს ზედმეტად რთულად ასახსნელი ტერმინია, რადგან ამ სიტყვის უკან იმდენად მნიშვნელოვანი ნიუანსი და ინსტიტუტი დგას, რომ რთულია უბრალო მიმოხილვით დაასრულო. ლიდერის განვითარების გზა ზედმეტად ხანგრძლივი და მრავალფეროვანია. საუკუნეების განმავლობაში დაიხვეწა და შეიცვალა მისი სტრუქტურაა და აგებულება.

ლიდერზე, როგორც ყველა ეპოქაში დღესაც ყველაფერია დამოკიდებული, მისი სტრატეგია ზუსტად უნდა პასუხობდეს საზოგადოების ნააზრევს. თანამედროვე პოლიტიკური ლიდერი უმეტესწილად არის დიპლომატი და ფსიქოლოგი, და მასზეა დამოკიდებული საზოგადოების გზა საითკენ უნდა წავიდეს. სწორედ სამაგისტრო

ნაშრომის მთავარი მიზანიც იყო გაგვერკვია და კვლევის საფუძველზე გამოგვეკლია რა ძირითადი ფაქტორები, მიზეზები და საშუალებები აქვს ლიდერის როლის შემსრულებელს.

როგორც კვლევამ დაადასტურა, ხშირ შემთხვევაში ,, დიდება''- რომელიც ადამიანს ცვლის და სულს უმახინჯებს ''- ასეც მოიხსენიებენ ლიდერობის ფენომენს საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ჰქონდა მცდელობა ლიდერის სტატუსი ეტარებინა, მაგრამ ძალისხმევა არ აღმოჩდა საკმარისი. სწორედ ამიტომაა განსაკუთრებულთა ხვედრი. გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ, ადამიანების ლიდერად ჩამოყალიბება ხდება დროთა განმავლობაში, ყოფილან ლიდერები, რომლებსაც დიდი შრომითა და ძალისხმევით ძალიან დიდ დრო დასჭირვებიათ დიდების მწვერვალზე ასასვლელად, ხოლო არიან ლიდერები, რომლებსაც მაშინვე გაუმართლათ და საუკეთესო დროს ზუსტად იმ ადგილას აღმოჩნდნენ სადაც საჭირო იყო. მაგრამ ვთვლი, რომ თუ დაბადებიდან არ გაქვს აუცილებელი კომპონენტები: მებრძოლი ხასიათი და ქარიზმატულობა - ლიდერობას ბოლომდე ვერ გაითავისებ.

გავა დრო და სულ სხვა თვალთახედვა ექნება მომავალ თაობას . შეცვლის ნააზრევს, დამოკიდებულებას, აზროვნებას და ყველაფერს იმას, რაც ამ დროისთვის ჩვენთვის არის მისაღები და მნიშვნელოვანი. გააუმჯობესებს ლიდერის ფენომენს ისე როგორც ჩვენმა საზოგადოებამ , ნაწილობრივი შესწორება შეიტანა მასში . მაგრამ რა დროც არ უნდა იყოს, ლიდერი მაინც იარსებებს როგორც მმართველად და წინამძღვრად, რომელზეც ყველაფერი იქნება დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. კონჩაძე ,, წარმატებული ადამიანების აზრი ლიდერობაზე ‘’,თბ. 2010
2. გ.ამყოლაძე ი. ამყოლაძე ,, ლიდერობა, უნარები, სტილი და მეთოდები“,თბ. 2014.
3. ლეივ დოგანი , ჯონ კინგი ,,ლიდერობის ხელოვნება ‘’, თბ. 2011 წელი
4. პიტერ გ. ნორთჰაუზი, ლიდერობა, ლონდონი, 2010
5. მ. შარიქაძე, იდეალური ლიდერი , თბ. 2017
6. Intermedia.ge. ლიდერის თვისებები, თბ. 2019
7. თომას მ.მაგშტანტი- ,,გავიცნოთ პოლიტიკური ლიდერები’’, თბ. 2000

8. ი.ჟვანია-,, ლიდერი და ლიდერობა'', თბ. 2019

9. ლ. კვირკველია, წარსულისა და მომავლის ლიდერები, თბ. 2013

10. პლატონი, სახელმწიფო'', თბ. 2010

11. გამომცემლობა ინტელექტი, ,,თანამედროვე ლიდერები'', თბ. 2017 წ.

12. Liberaali.ge , ახალი ლიდერი საქართველოში , თბ. 2018 წ.

13. .Americas Pro- Israel lobby, March 24-26 , Washington, D.C , https://www.aipac.org ;

14. .Chari, R., Murphy, G., Hogan, J. " Regulating Lobbyists: A Comparative Analysis of the USA, Canada, Germany and the European Union". The Political Quarterly, Vol. 78, No. 3; December 18, 2006;

15. Constitution of the State of Georgia, 1877, Par. V. „Lobbying is declared to be a crime, and the General Assembly shall enforce this provision by suitable penalties.";
http://georgiainfo.galileo.usg.edu/topics/government/related_article/constitutions/georgia-constitution-of-1877-as-ratified-without-subsequent-amendments;
http://georgiainfo.galileo.usg.edu;

16. Foregn agents registration act (FARA) of 1938 , department of justice,Washington;
https://www.justice.gov/nsd-fara; https://www.justice.gov;

17. H.R.2564 - Lobbying Disclosure Act of 1995 104th Congress (1995-1996);
https://www.congress.gov/bill/104th-congress/house-bill/2564; https://www.congress.gov;
24.05. 2018;

18. J.Largerlof , L. Frisell, "Lobbying, Inforamtion Transmission and Unequal Representation" Centre for Economic Policy Research, No. 4313, 2004, pp. 1-27.

19. N.F.Campos, F. giovannoni " Lobbying, Coruption and political influence" ; September 2006;

20. Rules of procedures, 7th parliamentary term , July 2010, European parliament;
http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//NONSGML+RULES-EP+20100705+0+DOC+PDF+V0//EN;

21. The Federal Regulation of Lobbying Act of 1946; https://en.wikipedia.org;

https://en.wikipedia.org/wiki/Federal_Regulation_of_Lobbying_Act_of_1946;

22. ThE free dictionary , Political lobbying "Lobbying" ; https://www.thefreedictionary.com; https://legal-dictionary.thefreedictionary.com/Political+lobbying; 27.05.2018;

23. The parliament of the Federal republic of germani;

https://www.bundestag.de/parlament/aufgaben/rechtsgrundlagen/go_btg;

https://www.bundestag.de